

განმარტებითი ბარათი

კანონპროექტზე „საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ“

წარმოდგენილი კანონპროექტის მომზადების მიზანია საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსში არსებული, სასამართლოების საქმიანობასთან დაკავშირებული ზოგიერთი ხარვეზის გამოსწორება და რიგი სამართლებრივი ნორმების სრულყოფა, კერძოდ:

იქედან გამომდინარე, რომ სარჩელის აღძვრამდე სარჩელის უზრუნველყოფისას არ ხდება ბაუის გადახდა, უმრავლეს შემთხვევებში სასამართლოში შედის აშკარად დაუსაბუთებელი განცხადებები უზრუნველყოფის ამა თუ იმ ღონისძიების გამოყენების შესახებ. ხშირად ერთი და იგივე შინაარსის რამდენიმე განცხადების შეტანასაც აქვს ადგილი, რათა რომელიმე მოსამართლემ მაინც გამოიყენოს უზრუნველყოფის ღონისძიება. არსებობს ისეთი შემთხვევებიც, როდესაც განმცხადებელს ყოველდღე შეაქვს ერთი და იგივე შინაარსის მქონე განცხადება. ფაქტურად ადგილი აქვს „უფლების ბოროტად გამოყენებას“, რასაც ხელს უწყობს ბაუის არარსებობა. მიგვაჩნია, რომ ბაუის დაწესება მნიშვნელოვნად დააბრკოლებს უსაფუძვლო განმცხადებელს სარჩელის უზრუნველყოფისათვის სასამართლოსთვის მიმართვისაგან. იგივე შეიძლება ითქვას განცხადებაზე ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ და გადაწყვეტილების ბათილად ცნობის შესახებ. აქედან გამომდინარე, კანონპროექტი ითვალისწინებს კოდექსის 38-ე და 39-ე მუხლებში შესაბამისი დამატებების შეტანას. ამასთან, დამატება შედის კოდექსის 194-ე მუხლშიც.

სამოქალაქო საქმის განხილვის პროცესში ხშირია შემთხვევები, როდესაც ხდება საქმესთან კავშირში არმყოფი პირის შესამე პირად ჩართვაზე შუამდგომლობის დაყენება მიუხედავად იმისა, რომ მხარისათვის წინასწარვე ცნობილია სასამართლოს უარყოფითი გადაწყვეტილების თაობაზე. აღნიშნული გარემოება და იმის შესაძლებლობა, რომ სასამართლოს უარყოფით გადაწყვეტილებაზე დასაშვებია კერძო საჩივრის შეტანა, მხარის მიერ გამოიყენება პროცესის ხელოვნურად გაჭიანურებისათვის. აქედან გამომდინარე, პროცესის ეკონომიურობის უზრუნველყოფის მიზნით, კანონპროექტი ითვალისწინებს პირის საქმეში შესამე პირად ჩაბმაზე უარის თქმის შესახებ განჩინების გასაჩივრების შესაძლებლობას მხოლოდ სასამართლოს გადაწყვეტილებასთან ერთად. შესაბამისად, ახალი რედაქციით ყალიბდება კოდექსის 90-ე მუხლის მე-2 ნაწილი.

მნიშვნელოვნად მიგვაჩნია, რომ სასამართლომ სარჩელის აღძვრამდე უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებისას თავად განსაზღვროს ვადა მოსარჩელის მიერ სარჩელის შესატანად, ვინაიდან ზოგიერთ შემთხვევაში მოპასუხისათვის რამდენიმე თვის ან წლის შემდეგ ხდება მის მიმართ უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების შესახებ და მხოლოდ ამ პერიოდის შემდეგ თუ იშუამდგომლებს სასამართლოს წინაშე ვადის დანიშვნაზე. სასამართლოს მიერ ვადის დანიშვნა კი გამოიწვევს მოსარჩელის მიერ სარჩელის უფრო სწრაფ შეტანას და აიძულებს მას მეტი პასუხისმგებლობით მოეკიდოს მის მიერ გამოყენებულ უზრუნველყოფის საშუალებას. აქედან გამომდინარე, შესაბამისი ცვლილება შედის კოდექსის 192-ე მუხლის მე-2 ნაწილში. აღნიშნული დებულება ასევე ემსახურება მოპასუხის ინტერესების

დაცვას, ვინაიდან თუ მოსარჩელე თვლის, რომ დარღვეულია მისი უფლებები და ითხოვს სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებას, მან დროულად უნდა მიმართოს სასამართლოს სარჩელით. ასეთ შემთხვევაში სრულიად მიუღებელია მოასუსხეს შეექმნას პრობლემები და იგი იძულებული გახდეს თვითონ იშუამდგომლოს სასამართლოს წინაშე სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გაუქმების მოთხოვნით, მაშინ როდესაც მოსარჩელე საერთოდ აღარ ფიქრობს სარჩელის შეტანას.

რაც შეეხება კოდექსის 216-ე მუხლის პირველ ნაწილს. მიზანშეწონილად მიგვაჩნია, რომ გადადების შემთხვევაშიც საქმის წარმოება თავიდან კი არ იწყებოდეს, არამედ გრძელდებოდა იმ ეტაპიდან, საიდანაც მოხდა მისი გადადება. შედარებისთვის მოვიყვანთ კოდექსის 283-ე მუხლს, როდესაც საქმის შერყების შემთხვევაში მისი განახლება ხდება იმ ეტაპიდან, საიდანაც მოხდა შერყება. ხშირად საქმის შერყება თვეების მანძილზე გრძელდება და ლოგიკურად, თუ ამ შემთხვევაში შესაძლებელია მისი იმ ეტაპიდან გაგრძელება, სადაც შერყდა, გადადების შემთხვევაშიც (რომელიც უფრო ნაკლები პერიოდი გრძელდება ხოლმე) უნდა შეიძლებოდეს მისი გაგრძელება იმავე ეტაპიდან.

კოდექსის 262-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად „გადაწყვეტილების განმარტების საკითხი გადაწყდება სასამართლოს სხდომაზე მხარეთათვის შეტყობინებით, მაგრამ მათი გამოუცხადებლობა ვერ დააბრკოლებს გადაწყვეტილების განმარტების საკითხის განხილვას“. მიზანშეწონილად მიგვაჩნია განმარტების მისაცემად სასამართლო სხდომის მოწვევის მიზანშეწონილობის საკითხი გადაწყვიტოს სასამართლომ. ეს ცვლილება განპირობებულია იმ გარემოებით, რომ გართულებულია მხარეთა მოწვევის საკითხი, რაც ხელს უშლის საკითხის სწრაფ გადაწყვეტას, განსაკუთრებით მაშინ, როცა განმარტების თაობაზე დადებითი განჩინების მიღების შემთხვევაში მხარეს აქვს მისი გასაჩივრების შესაძლებლობა კერძო საჩივრით.

კოდექსის 305-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, დეკლარაციის გადახდევინების შესახებ განცხადების მიღებაზე უარის შესახებ განჩინების გამოტანამდე უნდა მოუსმინონ განმცხადებელს. აღნიშნული შინაარსით ეს ნორმა არაეფექტურია, ვინაიდან თუ მოსამართლემ უარი უნდა უთხრას მხარეს განცხადების მიღებაზე, აზრს მოკლებულია განმცხადებლისათვის მოსმენა. აქედან გამომდინარე, პროექტი ითვალისწინებს, რომ განმცხადებელს მიეცეს გარკვეული დრო ხარვეზის გამოსასწორებლად.

კანონპროექტის ავტორია საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო.

კანონპროექტის მიღება გამოიწვევს სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლების ზრდას.